შ.პ.ს "არქსფერო"

L.T.D.ARCHSFERO

სამშენებლო დასკვნა

ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №2, საკადასტრო კოდით №01.14.06.008.024 მოქალაქე ლევან მერაბიშვილის თხოვნით შ.პ.ს."პეგასი"-ს კუთვნილებაში არსებულ მრავალფუნქციურ შენობაზე კონსტრუქციული მდგრადობის შესახებ.

ქ.თბილისი

20.05.2014 წელი

შინაარსი

ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №2, მოქალაქე ლევან მერაბიშვილის თხოვნის საფუძველზე შევისწავლეთ შენობის ტექნიკური მდგომარეობა და საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსახორციელებელი სამუშაოების მიზანშეწონილობა კონსტრუქციული მდგომარეობისა და მოთხოვნების შესაბამისად.

შენობის ტექნიკური მდგომარეობა მდგრადობასა და საიმედოობაზე

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა და შემოწმება ჩაუტარდა ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №2 – ში მოქალაქე ლევან მერაბიშვილის თხოვნით შ.პ.ს."პეგასი"-ს კუთვნილებაში არსებულ შენობის მიშენებას და ასევე მზიდი დანიშნულების კონსტრუქციულ ელემენტებს.

აღნიშნული შენობა ერთსართულიანი მრავალფუნქციური დანიშნულებისაა. ერთიანი შენობის კონსტრუქციული სქემა წარმოდგენილია შემდეგი სახით: შენობის საძირკველი წერტილოვანი, რკინაბეტონის კარკასი, ხოლო გადახურვა კი ერთქანობიანია. რაც შეეხება მიშენების კონსტრუქციულ საანგარიშო სქემას – მას აქვს დამოუკიდებელი საძირკველი, იგი აკრეფილია ე.წ. რკინაბეტონის კარკასსა და სართულშუა გადახურვის ფილებზე. ვიზუალური დაკვირვებისა და ტექნიკური შემოწმების მიხედვით ერთიანი შენობის კონსტრუქციული ელემენტების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და არ აღინიშნება მასზე ისეთი სახის რღვევის პირობები, ბზარები და ჯდენითი მოვლენები რაც უშუალოდ აღნიშნულ სამუშაოებს შეაფერხებდა. როგორც საპროექტო დოკუმენტაციიდან ირკვევა შ.პ.ს. "პეგასი"-ს ფართზე უნდა განხორციელდეს მიშენება, კერძოდ უნდა მოხდეს კედლების ამოშენება და საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით იერსახეში მოყვანა.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი შენობის მზიდი დანიშნულების ელემენტების ერთიანი კონსტრუქციული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება საპროექტო სამუშაოებს კონსტრუქციულ მზიდ ელემენტებთან მიმართებაში დასაშვებია და გამომდინარე აქედან ექვემდებარება განხორციელებას სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით.

დირექტორი: ლ.მიქელაძე

კონსტრუქტორი: ლ. მიქელაძე ლ.მიქელაძე

GEORGIA ARCHIFERO LTD 401895542